ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5382780

ნომერი: AR1817318

თარიღი : 13.04.2021

გაცემის თარიღი : 26.04.2021

გაცნობის თარიღი : 27.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნეს უახლესი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

2. საჯარო რეესტრის მონაცემებით სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი ფართი #9-ის მოსარგებლეა 2016 წლის 8 იანვრის #57 იჯარის ხელშეკრულების და 2018 წლის29 ივნისის იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების საფუძველზე, ასევე საჯარო რეესტრის მონაცემებით იჯარის ვადის საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის პირველი თებერვალი, შესაბამისად საჯარო რეესტრის მონაცემებით იჯარის ვადა გასულია, იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განცხადებაზე წარმოდგენილი 2019 წლის 13 მაისის სამმხრივი შეთანხმების აქტით ამავე დროს გაგრძელდა იჯარის ხელშეკრულების ვადა საჭიროა ზემოაღნიშნული შეთანხმება დაარეგისტრიროთ საჯარო რეესტრში ან წარმოადგინოთ საპროექტო ფართთან მიმართებაში ვადაში მყოფი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები (რეესტრში რეგისტრირებული 2016 წლის და 2018 წლის იჯარის ხელშეკრულებები თუკი ვადის ავტომატურ გაგრძელებას ითვალისწინებს ან სხვა). გაითვალისწინებთ, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებებით (მათ შორის, გარიგებებისა, რომელთა საერთო ვადა აღემატება 1 წელს) უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.